

შპს როქი

ს/კ 206271755

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ცვლილებების ანგარიშგება	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება (ლარში).....	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	8
1.ძირითადი საქმიანობა	8
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	8
3. ფული და ფულის ექვივალენტები	13
4.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	13
5.სასაქონლო- მატერიალური მარაგები	13
6.სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14
7.საგადასახადო ვალდებულებები.....	14
8.შემოსავალი.....	14
9.რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	14
10.ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	15
11.სხვა შემოსულობა/ზარალი.....	15
12.კაპიტალი	15
13.რისკების მართვა.....	15
14.საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	17

შპს „როქი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის დასრულებული წლისათვის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

აქტივები

	2023	2022	2021
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	1 784 826	271 312	200 311
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	531 380	781 166	913 508
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	662 416	283 314	193 672
სულ მიმდინარე აქტივები	2 978 622	1 335 792	1 307 491
სასაქონლო მატერიალური მარაგები			
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	3 318 958	3 590 945	2 781 900
სხვა მოკლევადიანი აქტივები	7 531	108 256	96 679
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	3 326 489	3 699 201	2 878 579
გრძელვადიანი აქტივები			
სხვა არამატერიალური აქტივები	74 348	80 257	86 167
ძირითადი საშუალებები	2 447 366	2 537 629	2 509 817
სულ გრძელვადიანი აქტივები	2 521 714	2 617 886	2 595 984
სულ აქტივები	8 826 825	7 652 879	6 782 054

კაპიტალი და ვალდებულებები

	2023	2022	2021
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	1 936 762	1 297 857	756 805
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამომუშავებული შემოსავალი	36 231	11 509	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	96 319
სხვა ვალდებულებები	21 804	5 735	7 274
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1 994 797	1 315 100	860 398
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	469 138	766 565	964 813
სულ ვალდებულებები	2 463 935	2 081 665	1 825 211
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	200	200	200
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	6 362 690	5 571 014	4 956 643
გადაფასების რეზერვი	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	6 362 890	5 571 214	4 956 843
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	8 826 825	7 652 879	6 782 054

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელის სახელით

დირექტორი დ. ბოსტაშვილი

თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2024 წელი

შპს „როქი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის დასრულებული წლისათვის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

საქმიანობის შედეგები

	2023	2022
ამონაგები ძირითადი საქმიანობიდან	11 352 742	10 310 893
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-8 741 334	- 8 165 011
საერთო მოგება	2 611 408	2 145 882
სხვა შემოსავლები	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1 174 147	- 1 007 768
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-165 634	- 162 146
საპროცენტო შემოსავლები	14 744	564
საპროცენტო ხარჯები	-26 748	- 43 954
იჯარის ხარჯი	-14 915	-14 746
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	-320 738	-281 673
სულ საოპერაციო ხარჯები/შემოსავლები	-1 687 438	- 1 509 723
საოპერაციო მოგება	923 970	636 159
არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი		
წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	-8 056	210 510
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	-124 238	-231 844
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	791 676	614 825
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	791 676	614 825

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელის სახელით

დირექტორი დ. ბოსტაშვილი

თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2024 წელი

შპს „როქი“

ფულადი ნაკადების ცვლილებების ანგარიშგება

**2023 წლის დასრულებული წლისათვის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)**

	<u>2023</u>	<u>2 022</u>
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1 838 960	437 774
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	0	-892
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-301 124	-327 021
ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა	1 537 836	109 861
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	271 312	200 311
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე	-24 322	-38 860
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	1 784 826	271 312

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელის სახელით

დირექტორი დ. ბოსტაშვილი

თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2024 წელი

შპს „როქი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება (ლარში)

**2023 წლის დასრულებული წლისათვის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)**

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი				
წმინდა მოგება	200	0	4 956 643	4 956 843
სხვა სრული შემოსავალი			614 825	614 825
გაცემული დივიდენდი			0	0
საწესდებო კაპიტალის ზრდა			0	0
კაპიტალის სხვა ცვლილება			- 454	-454
2023 წლის 31 დეკემბერი				
წმინდა მოგება	200	0	5 571 214	5 571 414
სხვა სრული შემოსავალი			791 676	791 676
გაცემული დივიდენდი			0	0
საწესდებო კაპიტალის ზრდა			0	0
კაპიტალის სხვა ცვლილება			0	0

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელის სახელით

დირექტორი დ. ბოსტაშვილი

თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2024 წელი

შპს „როქი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის დასრულებული წლისათვის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „როქი“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომელიც დაფუძნდა 2007 წლის 02 თებერვალს.

კომპანიის მფლობელობა წარმოდგენილია შემდეგი სახით-

	<u>2023 წელი</u>	<u>2022 წელი</u>
ნიკოლოზ ზაზაშვილი	50%	50%
მიხეილ ჭიჭაყუა	50%	50%

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საბითუმო ვაჭრობა ვეტერინარული პრეპარატებით, ფერმის ინვენტარ-ტექნიკით, სადეზინფექციო და სადერატიზაციო საშუალებებით, ცხოველთა საკვებითა და საკვებ დანამატებით და სხვა ვეტერინარიაში გამოსაყენებელი საშუალებებით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად. ეს სტანდარტი განსაზღვრავს ფინანსური ანგარიშგების მომზადების წესებს, რომლებიც მცირე და საშუალო საწარმოებისთვის არის განკუთვნილი, რაც უზრუნველყოფს აღრიცხვის მონაცემების სიზუსტესა და გამჭვირვალობას.

ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი ძირითადი ფინანსური ანგარიშგებები:

- 2021, 2022 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებები;
- 2022 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული სრული შემოსავლის ანგარიშგება;

- ფულადი ნაკადების ანგარიშგება;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება;
- განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს და ყველა მონაცემი აღრიცხულია ამ პერიოდებში არსებული საქმიანობის საფუძველზე.

ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციური ვალუტას წარმოადგენს. აღნიშნული ვალუტა შეესაბამება კომპანიის ოპერაციებისა და ფინანსური ანგარიშგების ძირითად საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს ფინანსური ინფორმაციის სიზუსტესა და შესადარისობას.

მსს ფასს-ის პირველადი გამოყენება

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებულია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად, კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება მსს ფასს-ს, მოქმედს 2023 წლის 31 დეკემბრისა და შემდეგ დასრულებულ პერიოდებისთვის, 2022 წლის 31 დეკემბრის შესადარისი პერიოდის მონაცემებთან ერთად. ამ ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიის საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადდა 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

კომპანიის მოგება 2023 წელს გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 29%-ით. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანია თავისი ვალდებულებების გადახდისუნარიანია და შეუძლია საქმიანობის გაგრძელება.

კომპანიის ფინანსური მაჩვენებლებისა და საბაზრო პოზიციის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ორგანიზაცია გააგრძელებს ოპერირებას და გააუმჯობესებს ფინანსურ შედეგებს გრძელვადიან პერსპექტივაში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები თანხის რეალური ღირებულებით, ფასდათმობისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ-ს) გამოკლებით. კრედიტით გაყიდვების შემთხვევაში, შემოსავალი აღიარებულია მაშინ, როცა საქონელი მიწოდებულია და საკუთრების უფლება მყიდველს გადაეცა, მიუხედავად გადახდის თარიღისა. მრავალეტაპიანი კონტრაქტების შემთხვევაში, შემოსავალი ნაწილობრივ აღიარებულია ეტაპების დასრულებისას. შემოსავლის კორექტირება ხდება დაბრუნებებისა და ფასდათმობების გათვალისწინებით.

მოგების გადასახადი

კომპანია მოქმედებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის "ესტონური მოდელის" წესებით, რომელიც ამოქმედდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ამ მოდელის მიხედვით, მოგების გადასახადი კომპანიას ეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოგება განაწილებს დივიდენდის ან სხვა ფორმით. ეს სისტემა კომპანიას საშუალებას აძლევს მოახდინოს მოგების რეინვესტირება საგადასახადო ტვირთის გარეშე, სანამ არ მიიღებს გადაწყვეტილებას მოგების განაწილების შესახებ.

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, მოგების გადასახადის ობიექტი ორ ნაწილად იყოფა:

1. დივიდენდის სახით განაწილებული მოგება.
2. სხვა დასაბეგრი ოპერაციები, გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (მაგალითად, გაცემული სესხების ან სხვა ფინანსური ტრანზაქციების შედეგად წარმოშობილი მოვალეობები).

კომპანიის მიერ დივიდენდის სახით მოგების განაწილება იბეგრება იმ მომენტიდან, როდესაც პარტნიორები მიიღებენ გადაწყვეტილებას მისი განაწილების შესახებ (მაგალითად, კრების ოქმის საფუძველზე). შესაბამისად, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც დივიდენდის განაწილება მოხდება და აისახება მოგება ან ზარალის ანგარიშში მუხლით "მოგების გადასახადი".

რაც შეეხება სხვა დასაბეგრი ოპერაციებს, მოგების გადასახადი აღიარებულია იმ დროს, როდესაც ხდება გადასახადის წარმოშობის საფუძველი თუ ეს მოვლენა არ იწვევს შესაბამისი საგადასახადო ვალდებულების შემცირებას (მაგ., სესხის დაბრუნების ან სხვა ტრანზაქციების შედეგად). ასეთ შემთხვევაში, გადასახადის ხარჯი აღიარებულია საანგარიშგებო თვეში, როდესაც მოვლენა მოხდა, და ეს ხარჯი ასახულია მოგება ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თავდაპირველი ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ღირებულება მოიცავს ნასყიდობის ფასს, იმპორტის მოსაკრებელს, ანაზღაურებად შეძენის გადასახადებსა და სხვა პირდაპირ მიკუთვნებულ გადასახადებს.

რემონტისა და მოდერნიზაციის ხარჯები, რომლებიც მნიშვნელოვნად ზრდის აქტივის ექსპლუატაციის ვადას ან წარმადობას, აღირიცხება აქტივის ნაწილად და ემატება მის საბაზრო ღირებულებას. სხვა ტექნიკური მომსახურების ხარჯები (ჩვეულებრივი რემონტი) კი აღიარებულია ხარჯად.

აქტივებისთვის ამორტიზაცია ირიცხება იმგვარად, რომ აქტივების ღირებულება თანაბრად განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

წრფივი ამორტიზაციის მეთოდი გამოიყენება, რადგან ის უზრუნველყოფს აქტივის ღირებულების თანაბარ განაწილებას ექსპლუატაციის პერიოდში. საექსპლუატაციო ვადები

პერიოდულად გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება. ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ვადები ცვალებადია აქტივის ტიპის მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო პერიოდის ვადა
შენობა-ნაგებობები	25-45 წელი
მანქანა-დანადგარები	5-15 წელი
ავტო-სატრანსპორტო საშუალებები	10-15 წელი
კომპიუტერული და ელექტრონული მოწყობილობები	3-10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-15 წელი

ძირითადი საშუალების ერთეული ჩამოიწერება ლიკვიდაციისას ან როდესაც მისი გამოყენების ან გასხვისებისგან აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივების ჩამოწერისას (განგარიშებული, როგორც სხვაობა განკარგვის წმინდა შემოსავალსა და აქტივების საანგარიშო ღირებულებას შორის) შედის საქმიანობის შედეგების ანგარიშში.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს ძირითადად შეძენილ პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიებს. ეს აქტივები აღირიცხება მათი თავდაპირველი თვითღირებულებით, რომელიც შემდგომში მცირდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით. ცვეთის პროცესი ასახავს ამ აქტივების ეკონომიკური ვადის შემცირებას, ხოლო გაუფასურების ზარალი დგება იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბაზრო ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება.

ამორტიზაციის ხარჯი ირიცხება წრფივი მეთოდით, რომელიც თანაბრად ანაწილებს აქტივის ღირებულებას მისი სარგებლობის სავარაუდო ვადის განმავლობაში. კომპანიის არამატერიალური აქტივების ცვეთის პერიოდი განსაზღვრულია ლიცენზიის ვადით ან აქტივის სარგებლობის სავარაუდო პერიოდით, რაც უფრო მოკლეა.

ამგვარად, არამატერიალური აქტივების აღრიცხვა ხდება საერთაშორისო აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს ფინანსური მონაცემების სიზუსტესა და გამჭვირვალობას.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს ისეთ პროდუქტებსაც, რომელთა გამოყენება შესაძლებელია ვარგისიანობის ვადის განმავლობაში. მარაგების აღირიცხვა ხდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს შეძენის პირდაპირ ხარჯებს, ტრანსპორტირების ხარჯებსა და ნებისმიერ სხვა ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია მარაგების შეძენასთან. ვადის გასვლის ან ხარისხის დაქვეითების შემთხვევაში, მარაგები ჩამოიწერება. მარაგების აღირიცხვა და თვითღირებულების დადგენა ხორციელდება FIFO მეთოდის საფუძველზე (პირველი შევიდა, პირველი გავიდა).

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან

ზარალში. კომპანიას ამას გარდა აქვს პოლიტიკა ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების შეფასებისა, რის მიხედვითაც გამოანგარიშებული თანხები ექვემდებარება საექვო მოთხოვნების რეზერვების აღირიცხვას, კერძოდ 3 წლამდე ვადაგადაცილებული თანხები ექვემდებარება 100%-ით დარიცხვას.

სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშო თარიღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსულობა/ ზარალში.

ამასთანავე, კომპანიის მიმდინარე აქტივები აჭარბებს მიმდინარე დავალიანებებს, რაც მიუთითებს კომპანიის ლიკვიდურობაზე და საკრედიტო ვალდებულებების დროულად შესრულების შესაძლებლობაზე.

3. ფული და ფულის ექვივალენტები

	<u>31 დეკემბერი 2023 წ.</u>	<u>31 დეკემბერი 2022 წელი</u>
ნაღდი ფული საღაროში	12 291	5 577
ფული საბანკო ანგარიშზე	1 772 535	265 735
სულ	1 784 826	271 312

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას საბანკო ანგარიშები აქვს არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

4.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	<u>31 დეკემბერი 2023 წ.</u>	<u>31 დეკემბერი 2022 წელი</u>
სავაჭრო მოთხოვნები	531 380	781 166
გადახდილი ავანსები	662 416	283 314
სულ	1 193 796	1 064 480

გადახდილი ავანსები წარმოადგენს, მარაგების შეძენისთვის, ძირითადად არარეზიდენტებზე გაცემულ თანხებსა და ბიუჯეტში გადახდილ ავანსებს.

5.სასაქონლო- მატერიალური მარაგები

	<u>31 დეკემბერი 2023 წ.</u>	<u>31 დეკემბერი 2022 წელი</u>
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	3 318 958	3 590 945

მარაგების რაოდენობა მუდმივად ივსება რეალიზებული საქონლის პროპორციულად.

6.სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	<u>31 დეკემბერი 2023 წ.</u>	<u>31 დეკემბერი 2022 წელი</u>
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	1 936 762	1 297 857
მიღებული ავანსები	36 231	11 508
მოკლევადიანი სესხი	0	0
სხვა ვალდებულებები	21 804	5 735

სულ მიმდინარე ვალდებულებები	1 994 797	1 315 100
-----------------------------	-----------	-----------

2023 წელს გაიზარდა მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები და მიღებული ავანსები, სრულად დაიფარა მოკლევადიანი სესხი, რაც მიუთითებს კომპანიის ფინანსურ სტაბილურობაზე და ვალდებულებების დროულად შესრულების უნარზე.

7.საგადასახადო ვალდებულებები

	<u>31 დეკემბერი 2023 წ.</u>	<u>31 დეკემბერი 2022 წ.</u>
საგადასახადო ვალდებულებები	- 3 681	-3 800

ფინანსურ ბალანსში საბიუჯეტო გადასახადებში წარმოიშვება ზედმეტობა ჩასათვლელი დღგ-ს ხარჯზე.

8.შემოსავალი

კომპანიის შემოსავლის უმეტეს ნაწილს წარმოადგენს ვეტერინარული პრეპარატების, ფერმის ინვენტარ-ტექნიკის, მინერალური სასუქების, ცხოველთა საკვებისა და საკვებდანამატების, აგროქიმიური პროდუქტების, ასევე სადერატიზაციო, სადეზინფექციო და სადეზინსექციო პრეპარატების რეალიზაცია. დამატებითი შემოსავლების წყაროებია საიჯარო ქირა და გარე პირებისთვის მომსახურების გაწევა.

9.რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს საქონლის შეძენის დანახარჯებს, ტრანსპორტირების ხარჯებს, აგრეთვე ჩაუთვლელ დღგ-ს, რაც გავლენას ახდენს კომპანიის მოგებაზე და არის მნიშვნელოვანი კომპონენტი ფინანსურ ანგარიშგებაში.

10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს ყველა იმ ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია კომპანიის ოპერაციულ საქმიანობასთან.

ამგვარი ტიპის ხარჯები მოიცავს გაცემულ შრომით ანაზღაურებას და საპენსიო შენატანებს, კომუნალურსა და კომუნიკაციის ხარჯებს, ტრანსპორტის ექსპლუატაციის ხარჯებს, სამეურნეო მარაგების ხარჯებს, მივლინების ხარჯებს, თანამშრომელთა ტრენინგის ხარჯებს, წარმომადგენლობით ხარჯებს, საოფისე მარაგების შეძენას, სამართლებრივ და საკონსულტაციო მომსახურებებს, საწვავის ხარჯებს და საოფისე ტექნიკის მოვლასა და რემონტს.

11. სხვა შემოსულობა/ზარალი

2023 წელს, სხვა შემოსულობა/ზარალი მოიცავდა -8 056 ლარის ხარჯს სავალუტო ოპერაციებიდან. ასევე, 2023 წელს კომპანიამ მიიღო 14 744 ლარის საპროცენტო შემოსავლები, რაც აღემატება 2022 წლის 564 ლარს.

12. კაპიტალი

2023 წლის მდგომარეობით, კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

- **საწესდებო კაპიტალი** შეადგენს 200 ლარს, რაც უცვლელია 2022 წლისთან შედარებით.
- **გაუნაწილებელი მოგება** შეადგენს 6,362 690 ლარს, რაც 2022 წლის 5 571 014 ლართან შედარებით ზრდას წარმოადგენს.
- **სულ კაპიტალი** 2023 წლისთვის შეადგენს 6 362 890 ლარს, რაც ზრდას წარმოადგენს 2022 წლის 5 571 214 ლართან შედარებით.

კაპიტალის ზრდა, კომპანიის ფინანსური სტაბილურობისა და მომგებიანობის პირდაპირი ნიშანია, რაც მიუთითებს, რომ კომპანია აგრძელებს მოგების გენერირებას და მის შენარჩუნებას გრძელვადიანი განვითარებისთვის.

13. რისკების მართვა

ფინანსური რისკების მართვა

კომპანია სარგებლობს სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტებით და შესაბამისად, დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი
- სავალუტო რისკი

ეს შენიშვნა ასახავს კომპანიის მიერ თითოეული ამ რისკის შეფასებისა და მართვის პროცესს, ასევე კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რომლებიც საჭიროა ამ რისკების მართვისთვის. განიხილება კომპანიის კაპიტალის მართვის სტრუქტურა და ხელმძღვანელობის როლი ამ პროცესში. დამატებითი ინფორმაცია და თანხობრივად გამოსატყუი განმარტებები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის სისტემის შემუშავებასა და ზედამხედველობაზე. ეს პროცესი მოიცავს რისკების იდენტიფიცირებას, შეფასებას და მართვას კომპანიის საქმიანობაზე მათი გავლენის გათვალისწინებით.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა დადგენილია შემდეგი მიზნების მისაღწევად:

- რისკების იდენტიფიკაცია და შეფასება;
- რისკის შესაბამისი ლიმიტების დადგენა და მათი დაცვის მონიტორინგი;
- სისტემის რეგულარული გადახედვა საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობის ცვლილებების გათვალისწინებით.

კომპანია მუდმივად ცდილობს შექმნას დისციპლინარული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რათა თანამშრომლებს მკაფიოდ ესმოდათ თავიანთი როლები და პასუხისმგებლობები. ეს მიიღწევა ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების დახმარებით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი გულისხმობს იმ საფრთხეს, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში კომპანია განიცდის ფინანსურ დანაკარგს. ეს რისკი, ძირითადად, დაკავშირებულია კომპანიის სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებთან.

კომპანიის მიზანია, შეაფასოს თითოეული კლიენტის გადახდისუნარიანობა და შეინარჩუნოს უსაფრთხო საკრედიტო პოლიტიკა, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს ფინანსური დანაკარგები.

სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს, რადგან მისი ვალდებულებები და შემოსავლები ნაწილობრივ დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. ლარის კურსის მერყეობამ შესაძლოა გაზარდოს იმპორტის ხარჯები და გავლენა მოახდინოს კომპანიის მოგებაზე.

მომარაგების ჯაჭვის რისკი:

გლობალურ მომარაგების ჯაჭვში შეფერხებებმა, განსაკუთრებით საქონლის იმპორტთან დაკავშირებით, შეიძლება გამოიწვიოს პროდუქციის მიწოდების შეფერხება მომხმარებლებისთვის;

რეგულირების და საკანონმდებლო რისკი:

ვეტ-ფარმაცევტული სექტორების რეგულაციების ცვლილებამ შეიძლება გაზარდოს საოპერაციო ხარჯები ან შეზღუდოს კომპანიის საქმიანობა.

რისკების მართვის პროცესში ყურადღება გამახვილებულია კომპანიის პასუხისმგებლობის გაძლიერებაზე, რათა ხელმძღვანელობამ სრულად შეძლოს კომპანიის რისკების მონიტორინგი, შეფასება და მათზე დროული რეაგირება.

14. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მოვლენები, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

კომპანიის მენეჯმენტი მუდმივად აკონტროლებს გარემოებებს, რათა საჭიროების შემთხვევაში მოახდინონ შესაბამისი რეაგირება.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელის სახელით

დირექტორი დ. ბოსტაშვილი

თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2024 წელი